

მთლიანობას. შესაბამისად, გეგმის მთავარი სამიზნე სფერო უნდა იყოს: მეღვინეობა; მეთუნეობა და კერამიკა; კულინარია/გასტრონომია და კვების სავაჭრო ობიექტები (რესტორნები, კაფეები და სხვა).

ხაზი გაესვა, რომ ზესტაფონი გამორჩეულია არა მარტო თავისი სამრეწველო საწარმოების სიდიდითა და ეფექტურობით, არამედ თავისი კულტურული ტრადიციებითა და მიღწევებით (კონკრეტული ფაქტები: მუსიკა, სასიმღერო კულტურა; თეატრალური ტრადიციები და მსახიობები; ყოველწლიური ფესტივალი „სულიკო“ და სხვა. შესაბამისად გამოიკვეთა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საიმიჯო ფაქტორები და მიმართულებები/თემები: იმერული კოლორიტი და მელოდია (ფესტივალი „სულიკო“); - სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია და კულტურა; ქვევრის ღვინო და იმერული ყურძნის ჯიშები, ციცქა, ცოლიკაური და ოცხანურის საფერე; ქართული და კერძოდ იმერული სამზარეულო; შრომის თიხა და კერამიკული ნაკეთობები; თეატრალური ტრადიცია და კულტურული ცხოვრება; ისტორიული ძეგლები (შოროპნის ციხე და სხვა);

ზესტაფონის მუნიციპალიტეტს დიდი პოტენციალი აქვს უნიკალური იმერული (ზესტაფონური) ღვინოებით გაითქვას სახელი. ამისათვის პირველ ეტაპზე შესაძლებელი იქნება დამზობილებულ ქალაქებში (შესაბამის ქვეყნებში) განვახორციელოთ აქტიური მოსამზადებელი და მარკეტინგული სამუშაოები, გავმართოთ და თვითონ მივიღოთ მონაწილეობა გამოფენებსა და სხვა საჩვენებელ ღონისძიებებში (ასეთი ღონისძიებების ერთი ნაწილი შეიძლება დავამთხვიოთ ტრადიციულ „ვარინკობას“/„სულიკობას“ /გაზაფხულზე/მაისში) და/ან ზესტაფონის ტრადიციულ ღონისძიებებს - „ზესტაფონლობა“ (შემოდგომაზე/ოქტომბერში).

სასარგებლო იქნება თუ ზემოთ აღნიშნულ საზეიმო დღეებში (შეიძლება ცალკეც) სტუმრებისათვის, პოტენციური ინვესტორებისა და დაინტერესებული მეწარმეებისათვის ჩატარდება ბიზნეს-ფორუმი, გაიმართება საქმიანი ბიზნეს - შეხვედრები და მოეწყობა სხვადასხვა ბიზნეს პროექტების პრეზენტაცია. ასევე ჩატარდება კონკურსები საუკეთესო ადგილობრივი ნაწარმის გამოვლენისა და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სახელის/გერბის ტარების („ბრენდირებისათვის“) უფლებით.

ზემოთ აღნიშნული აქტივობები ხელს შეუწყობს ქალაქის ცნობადობის ამაღლებას, რაც თავისმხრივ ტურისტების რაოდენობასაც მნიშვნელოვნად გაზედის, ეს კი მთლიანობაში ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კონკურენტუნარიანობის ზრდის საწინდარი გახდება. მეორე მხრივ კი ხელი უნდა შევეწყოთ ზესტაფონის, როგორც იმერეთის რეგიონის ერთერთი მთავარი, ხოლო ზემო იმერეთის ძირითადი ეკონომიკური და კულტურული ცენტრის („ჰაბი“) იმიჯის დამკვიდრებას.

7. SWOT ანალიზი-ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ძლიერი მხარეები

- იმერეთის ერთერთი ყველაზე კოლორიტული, თვითმყოფადი და ცნობადი მუნიციპალიტეტი;
- მოსახერხებელი გეოგრაფიული მდებარეობა /საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები, აეროპორტი/;
- მევენახეობისა და მეღვინეობის ტრადიციები და ძლიერი კერა, ღვინის ერთერთი ძირითადი მწარმოებელი, ამ პროცესში ჩართული, გამოცდილი კადრების საკმარისი რაოდენობა;
- მეთუნეობისა და კერამიკული წარმოების ტრადიციები, ხალხური რეწვის კერების

სუსტი მხარეები

- დეცენტრალიზაციის არასაკმარისი დონე; მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო რესურსების შეზღუდულობა, საკუთარი შემოსავლების სიმცირე;
- უცხოეთის დამეგობრებულ ქალაქებთან და სხვა პარტნიორებთან საქმიანი კომუნიკაციის დაბალი დონე, საგარეო ბაზარზე პოზიციონირების არ არსებობა;
- არსებული ბიზნესების უდიდესი უმრავლესობა მცირე ბიზნესია, ანუ არასაკმარისია მათი ფინანსური